დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 აპრილის N08 ოქმით

Approved by Academic Board Minutes N08, dated 19 April 2016

# NPLE – New Vision University Quality Culture Committee Regulation

# ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება

## Article 1. General Provisions

1. The regulation is elaborated in accordance with Article 5 paragraph 1 subparagraph “g” of NPLE – New Vision University (NVU) Charter and determines the status and duties of the Quality Culture Committee (hereinafter the Committee)
2. The Committee is operating in accordance with Georgian legislation, NVU Charter, other University acts and this regulation.
3. Quality assurance is based on the principle: "Plan–Do–Check–Act". The aim of this continuous cycle is to permanently improve activities in the implementation of the educational program, as well as to avoid shortcomings as far as possible by carrying out preliminary measures and in case of impossibility - with timely reaction.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება შემუშავებულია ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის (შემდგომში - კომიტეტი) სტატუსსა და ფუნქციებს.
2. კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სხვა აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“. ამ უწყვეტი ციკლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერმანენტული გაუმჯობესება, ასევე ნაკლოვანებების თავიდან აცილება შეძლებისდაგვარად წინმსწრები ღონისძიებებით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დროული რეაგირებით.

## Article 2. Structure

1. The Committee is leaded by the Head of the Committee. It represents the Committees with other management bodies of the university, schools and other structural units and carries out, other rights determined by the University Charter, following regulation and the legislation of Georgia.

2. The Committee chairs Head of Academic Board.

3.To ensure quality assurance mechanism at the school level, the Academic or Administrative Representative of each school is involved in the activity of the Committee, and are accountable to the Head of the Committee.

5. The school representatives engaged in the activities of the Committee are appointed by the

## მუხლი 2. სტრუქტურა

1. სამსახურს მართავს კომიტეტის ხელმძღვანელი. იგი წარმოადგენს კომიტეტს უნივერსიტეტის სხვა მართვის ორგანოებთან, სკოლებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. კომიტეტს ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.
3. სკოლის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტის საქმიანობაში ჩართულია თითოეული სკოლის აკადემიური ან ადმინისტრაციული წარმომადგენელი, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან კომიტეტის ხელმძღვანელის წინაშე.
5. სამსახურში საქმიანობაში ჩართული სკოლის წარმომადგენლების დანიშვნა ხდება კომიტეტის

head of the Committee, based on the recommendation of the relevant school dean. The rules and functions of the activities of the school's representatives are determined by the head of the Committee.

6. Based on the importance of the particular issue an ad hoc temporary committee (commission) may be set up in accordance with the University Charter.

ხელმძღვანელის მიერ, შესაბამისი სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე. სკოლის წარმომადგენლების საქმიანობის წესსა და ფუნქციებს განსაზღვრავს კომიტეტის ხელმძღვანელი.

6. ცალკეული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს სპეციალური დროებითი კომიტეტის (კომისიის) ფორმირება უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად.

## Article 3. Aims and Functions

1. Basic goals of the Committee are:

A. To Be the guarantee of the quality culture, aspire for permanent update and development, proaqctively collect and manage the data and develop the recommendations aimed at enhancement of quality;

B. Promote the introduction of modern teaching and learning methods, assessments and self-assessment; elaboration of recommendations for reflecting in the development strategy of the university;

C. Promote development of assessment system for evaluation of educational, research activities and professional development quality of the staff;

D. Carry out permanent assessment of the activities of University units and their resources and elaborate recommendations for improvement;

E. Assure effective engagement of each university team member and particular structural units in the implementation of quality assurance mechanisms and promote the cooperation between the Committee, other committees and structural units of the university.

F. Promote engagement of university in the international educational environment, and deepen international cooperation within its competences;

G. Increase awareness of academic, administrative and guest staff, as well as students about the university quality culture.

## მუხლი 3. მიზნები და ფუნქციები

1. კომიტეტის ძირითადი მიზნებია:

ა) იყოს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის გარანტი, ისწრაფოდეს მუდმივი განახლება-განვითარებისკენ და პროაქტიურად ახორციელებდეს მონაცემების შეგროვება-დამუშავებას და ხარისხის დახვეწაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავებას;

ბ) ხელი შეუწყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასასახად;

გ) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საგნმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე დაწესებულების პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას;

დ) განახორციელოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობისა და მათი რესურსების უწყვეტი შეფასება და შეიმუშავოს გაუმჯობესების რეკომენდაციები;

ე) უზრუნველყოს უნივერსიტეტის გუნდის თითოეული წევრის და ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ეფექტიანი ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში და ხელი შეუწყოს თანამშრომლობას სამსახურსა და უნივერსიტეტის სხვა კომიტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

ვ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ჩართულობას და მისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავებას;

ზ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებში.

2. To achieve these goals the Committee:
A. Promotes engagement of interested persons including students, graduats and employers at the "Planning Stage" of the programme; support usage of the relevant market research information and other appropriate data;

B. Carries out the monitoring of the program success at the "Do Stage" using early diagnostic tools;

C. Shares responsibility at the "Check Stage" for identification of potential shortcommings, including analyses of questionare data related to program components and generalizes outcomes for further action.
D. Elaborates recommendations in order to improve the program at the "Act Stage" based on the results of data analyses.

2. დასახული მიზნების მისაღწევად კომიტეტი
ა) ხელს უწყობს პროგრამის „დაგეგმვის" სტადიაზე დაინტერესებული პირების, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას ბაზრის კვლევის რელევანტური ინფორმაციისა და სხვა საყურადღებო მონაცემების გამოყენებას;
ბ) ახორციელებს პროგრამის წარმატებულობის მონიტორინგს „განახორციელე" სტადიაზე, ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით;
გ) იზიარებს პასუხისმგებლობას პროგრამის „შეამოწმე" სტადიაზე ხარვეზების გამოვლენაზე, მათ შორის ახორციელებს კომპონენტების შეფასების კითხვარის მონაცემების ანალიზსა და განზოგადებას შემდგომი რეაგირებისთვის;
დ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს მონაცემთა ანალიზით მიღებული შედეგების პროგრამის შესაძლო დახვეწისათვის გამოყენებაზე „განავითარე" სტადიაზე.

3. Responisbilities of the Committee also include:
A. Prepareation and presentation conclusion to Academic Board on ellaboration of the new educational program or on the amendments made in existant one.

B. Elaboration of educational program evaluation and improvement mechanisms and ensure involvement of academic/invited/scientific staff and students, as well as external stakeholders (employers, alumni and others).

C. Elaboration of staff member activities' evaluation system and take into account in order to improve study process.

D. Promotion of the implementation of students' academic performance monitoring mechanism and elaboration of recommendations based on the monitoring results for study process improvement.

E. Coordination of self-evaluation process for authorization and accreditation.
F. Organization and coordination of elaboration of the university legal acts projects related to study process, authorization and accreditation in co-operation with the Legal Aid Center.

3. კომიტეტის პასუხისმგებლობას ასევე განეკუთვნება:
1. სკოლის საბჭოს მიერ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან არსებულ პროგრამაში შესატანი ცვლილებების თაობაზე დასკვნის მომზადება და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა;
2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება და მათ განხორციელებაში აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვა) ჩართვის უზრუნველყოფა;
3. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
4. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით რეკომენდაციების შემუშავება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
5. ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესების კოორდინაცია;
8. სასწავლო პროცესთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების ორგანიზება და

G. Permanent evaluation of the quality of services and resources, enrolled for the ensuring of the quality, and publish of the result for further development
H. Execution of other right within its' competence.

კოორდინირება იურიდიულ დახმარების ცენტრთან თანამშრომლობით.
9. ხარისხის უზრუნველსაყოფად დანერგილი სერვისებისა და რესურსების ხარისხის მუდმივი შეფასება და შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.
10. სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

## Article 4. Final Provisions

Any changes and amendments to the regulation can be made by the Academic Board (Council) of the university

## 4. დასკვნითი დებულებები

დებულებაში დამატებებისა და ცვლილების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ.